



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 2
18/01/2021

2-06-4-202101181640



**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო
ნუსხაში შეტანილი მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების - სოფ. ქვედა ცაგერში
მდებარე 200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ
89.02.24.175)-ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი
საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის,
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების
„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით
გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის
საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების
დამტკიცების შესახებ“ 34-ე მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი აუდიტორი ი/მ
„ომარი დოლონაძის“ (სარეგისტრაციო №SARAS-A 486613; უძრავის ქონების შემფასებელი:
სერთიფიკატი N089) 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით უძრავი ქონების საწყისი
საპრივატიზაციო ღირებულების შეფასების შესახებ №31 დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა ცაგერში მდებარე უძრავი ქონების - 200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.02.24.175) - ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 5600 (ხუთი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო